

სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამა: ციფრული ჰუმანიტარია

კურიკულუმი

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფაკულტეტის დასახელება	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
პროგრამის დასახელება	ციფრული ჰუმანიტარია Digital Humanities
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	ციფრული ჰუმანიტარიის დოქტორი PhD in Digital humanities
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	3 წელი (6 სემესტრი) - 180 კრედიტი
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 2017 წელს. პროგრამის განახლება შესაძლებელია ყოველი სასწავლო წლის დასაწყებამდე პროგრამისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით
პროგრამის ხელმძღვანელი	ნინო დობორჯგინიძე, პროფესორი ლინგვისტურ კვლევათა ცენტრის დირექტორი nino_doborjginidze@iliauni.edu.ge

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სასურველია ჰუმანიტარულ და კომპიუტერულ მეცნიერებებში, სოციოლოგიის ან სხვა მონათესავე დარგებში.
- წარმატებით ჩაბარებული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ ენაში ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე დადასტურების მიზნით ან ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (მინიმუმ B2 დონის შესაბამისი) ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი;*
- სადოქტორო კვლევითი განაცხადი;
- ზეპირი გამოცდა.

* უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომის აღიარება უნდა იყოს დადასტურებული სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე მიღების პირობების და კრიტერიუმების შესახებ მოცემულია დოკუმენტში „სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურების და შეფასების სისტემა“. მიღების შესახებ ინფორმაცია თავსდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვერ-გვერდზე www.iliauni.edu.ge.

სადოქტორო პროგრამის დახასიათება/კონცეფცია

ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია კვლევასა და სწავლებაში თანამედროვე ციფრული ჰუმანიტარიისა და კომპიუტერული ლინგვისტიკის სტანდარტების დანერგვაზე. ამგვარი მიდგომა ქართველობის გადაუდებელი ამოცანაა, ვინაიდან როგორც ქართული, ისე საქართველოში აღმოჩენილი ან დაცული უცხოენოვანი კულტურული მეკვიდრეობის კვლევისათვის აუცილებელია მათი დოკუმენტირება უახლესი და საერთაშორისო ციფრული სტანდარტების შესაბამისად.

სადოქტორო პროგრამა მოიცავს ციფრული ჰუმანიტარიის სამ მიმართულებას ციფრული ეპიგრაფიკა, კომპიუტერული და კორპუსის ენათმეცნიერება, ციფრული პროსოპოგრაფია და

დოქტორანტს აძლევს შესაძლებლობას საკვლევი შეკითხვიდან/ჰიპოთეზიდან გამომდინარე, შექმნას მონაცემთა სტრუქტურირებული, ანოტირებული ბაზები და საანოტაციო ინსტრუმენტები, რაც ფაქტებისა და მონაცემების ანალიზისათვის სრულიად ახალ გზებს წარმოაჩენს და, შესაბამისად, დანერგოს აღნიშნული მიდგომა ქართულ სინამდვილეში. პროგრამა აერთიანებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ მიმართულებით მიმდინარე კვლევებს და უზრუნველყოფს კავშირს ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან.

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანია, მისცეს ციფრული ჰუმანიტარიის დარგის ახალგაზრდა მკვლევრებს ინფორმაციის, ტექნოლოგიებისა და მეთოდების გაზიარებისა და შექმნის შესაძლებლობა ციფრული ეპიგრაფიკის, კომპიუტერული და კორპუსის ენათმეცნიერებისა ან ციფრული პროსოპოგრაფიის მიმართულებით.

პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს, გაეცნონ და მოახდინონ ქართულენოვანი და საქართველოში დაცული უცხოენოვანი კულტურული მემკვიდრეობის დოკუმენტირება საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, შექმნან მონაცემთა სტრუქტურირებული, ანოტირებული ბაზები და საანოტაციო ინსტრუმენტები.

სწავლების მეთოდები

- ლექცია და სემინარი (ვერბალური და წერითი მეთოდი);
- პრაქტიკული მეთოდი;
- ელექტრონული სწავლების ელემენტები;
- დემონსტრირების მეთოდი;
- ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა;
- დისკუსია;
- შემთხვევის ანალიზი;
- მოდელირება/სიმულაცია;
- რეფლექსია;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- ინდუქციური და დედუქციური მეთოდები;
- თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები;
- საველე მუშაობა.

პროგრამის თითოეულ კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში/კონცეფციის დოკუმენტებში.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

- კურსდამთავრებულს ექნება უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა ციფრული ჰუმანიტარიის ერთ-ერთ მიმართულებაში - ეპიგრაფიკაში, კომპიუტერული და კორპუსის ენათმეცნიერებასა ან პროსოპოგრაფიაში, მათი თეორიული და გამოყენებითი ასპექტების და სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი ჰუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე);
- კურსდამთავრებულს ექნება კომპიუტერული, ლინგვისტური და/ან ისტორიული კვლევის უახლესი მეთოდების ცოდნა, რაც მისცემს მას საშუალებას აწარმოოს კვლევები ციფრული ჰუმანიტარიის დარგში ინოვაციური მიდგომებისა და მეთოდოლოგიის გამოყენებით;

- კურსდამთავრებული აცნობიერებს გამოყენებითი ციფრული ჰუმანიტარიის ინტერდისციპლინურ ხასიათს, დარგში არსებული ამოცანების გადაჭრის შესაძლებლობებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- კურსდამთავრებული შეძლებს ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვას, განხორციელებასა და ზედამხედველობას ციფრული ჰუმანიტარიის დარგში და შექმნას ახალი ცოდნა ერთ-ერთი მიმართულებით - ეპიგრაფიკა, კომპიუტერული და კორპუსის ენათმეცნიერებისა ან პროსპორტულია;
- კურსდამთავრებული შეიმუშავებს ახლებურ კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებსა და მიდგომებს, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში, კერძოდ, არჩეული ერთ-ერთი მიმართულების შესაბამისად;
- კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება ისტორიული, ენათმეცნიერული ან ტექნოლოგიური მეთოდოლოგიების გამოყენებით ენობრივი წარმონაქმნების (ტექსტებისა და დისკურსების), ენებში მიმდინარე პროცესების, ისტორიული კლასტერების და ტენდენციების ანალიზისა და შეფასების უნარი;
- კურსდამთავრებულს ექნება საერთაშორისო ან ისტორიული ან ლინგვისტური და ტექნოლოგიური სტანდარტების შესაბამისად ტექსტური/ისტორიული კორპუსის შექმნის უნარი;
- კურსდამთავრებულს ექნება აუცილებელი ან ისტორიული ან ლინგვისტური და ტექნოლოგიური ამოცანების დაგეგმვისა და განხორციელების უნარი და შეძლებს:
 - ა) მონაცემთა ბაზის სტრუქტურის (დიზაინის) შემუშავებას;
 - ბ) მონაცემთა შეგროვებასა და ელექტრონულ ბაზაში მოთავსებას;
 - გ) მონაცემთა ბაზის დამუშავებასა და ანოტირებას;
 - დ) აღნიშნული მონაცემთა ბაზის სამართავი ხელსაწყოს შესაქმნელად ლინგვისტური მონაცემების ანალიზს.
- კურსდამთავრებული შეძლებს კორპუსში სხვადასხვა რეალობის ადეკვატურად დოკუმენტირებას, კერძოდ: სხვადასხვა ეპოქაში ამა თუ იმ კულტურულ, ენობრივ კონტექსტში მიმდინარე დისკუსიების, გავრცელებული თვალსაზრისების, სამეცნიერო კამათის და ა.შ. ადეკვატურ ასახვასა და გაანალიზებას.

დასკვნის უნარი

- კურსდამთავრებულს შეუძლია ციფრული ჰუმანიტარიის ერთ-ერთი მიმართულებით კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე რელავანტური გადაწყვეტილებების მიღება სტანდარტული ტექსტური ბაზების, კორპუსების შესაქმნელად;
- ერთ-ერთი მიმართულებით შერჩეული საკითხის/პრობლემატიკის კვლევის მიზნით კურსდამთავრებულს შეუძლია მონაცემების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რაც აძლებს მას შესაძლებლობას, ჩამოაყალიბოს ახალი მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები.

კომუნიკაციის უნარი

- კურსდამთავრებულს შეუძლია ციფრული ჰუმანიტარიის ერთ-ერთი მიმართულებით უახლესი მეთოდების გამოყენებით განხორციელებული კვლევის შედეგად შექმნილი ახალი ცოდნის მიმართების წარმოჩენა არსებულ თეორიულ ჩარჩოსთან;
- კურსდამთავრებული იცნობს და პროფესიულ საქმიანობაში (მონაცემთა ბაზის, ტექსტური კორპუსების მოსამზადებელი სამუშაო, უკვე არსებული ბაზების ეფექტურად გამოყენება, საავტორო უფლებების განსაზღვრა და ა.შ.) ეფექტურად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;

- კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი კვლევის მეთოდების, შედეგების და დასკვნების წარდგენა აკადემიური აუდიტორიისთვის სამეცნიერო კომუნიკაციის წესების და ეთიკის დაცვით;
- კურსდამთავრებულს შეუძლია საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ დისკურსში ჩართვა, რაც გამოიხატება საერთაშიროსიო რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციებით.

სწავლის უნარი

- კურსდამთავრებული ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე;
- კურსდამთავრებული მზადაა, საკვლევი პრობლემის/საკითხის შესახებ უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნისა და მეთოდოლოგის საფუძველზე, განავითაროს კვლევის შემდგომი პროცესები, ახალი იდეები;
- კურსდამთავრებული ეფექტურად მართავს დროსა და რესურსებს.

ღირებულებები

- კურსდამთავრებული კვლევების წარმოებისას იცავს სამეცნიერო ეთიკის ნორმებს;
- კურსდამთავრებული იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, პატივს სცემს კოლეგების აზრს.
- კურსდამთავრებული მზადაა ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევისათვის და ამისთვის ინოვაციური მეთოდების შემუშავებისათვის.

პროგრამის სტრუქტურა

სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისგან:

სასწავლო კომპონენტი - ითვალისწინებს კრედიტების დაგროვებას კვლევასთან დაკავშირებულ სალექციო კურსებში, რომლებიც წარმოდგენილია სადოქტორო და კვლევითი სემინარების, ასისტირების, სწავლებისა და შეფასების სტრატეგიების და კვლევის მეთოდების სსწავლო კომპონენტებში.

კვლევითი კომპონენტი - კი უშუალოდ კვლევის განხორციელებას და დისერტაციაზე მუშაობას გულისხმობს.

სწავლის განმავლობაში დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 180 კრედიტი, რომელთა განაწილებაც პროგრამის კომპონენტებს შორის ხდება შემდეგი სახით:

კომპონენტები	სემესტრები						ECTS
	1	2	3	4	5	6	
სადოქტორო სემინარი I							6
სადოქტორო სემინარი II							6
Writing for Academic Publication							6
სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები							6
ასისტირება							24
კომპიუტერული ენათმეცნიერების კვლევის მეთოდები*							12
კორპუსის ენათმეცნიერების კვლევის მეთოდები*							12
ციფრული ეპიგრაფიკის კვლევის მეთოდები და საქართველოს მრავალენოვანი ეპიგრაფიკა (ქართული, ძველი ბერძნული, არამეული, ებრაული)**							12
პროსპექტურული როგორც კვლევის მეთოდი ***							12
სადისერტაციო ნაშრომი							120

* სასწავლო კურსები „კომპიუტერული ენათმეცნიერების კვლევის მეთოდები“ და „კორპუსის ენათმეცნიერების კვლევის მეთოდები“ სავალდებულოა მხოლოდ კომპიუტერული და კორპუსის ენათმეცნიერების მიმართულების დოქტორანტისთვის და მან უნდა შეისწავლოს მხოლოდ ერთი, თავისი საკვლევი საკითხიდან გამომდინარე.

** სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდების ციფრულ ეპიგრაფიკაში“ სავალდებულოა მხოლოდ ამ მიმართულების დოქტორანტისთვის.

*** სასწავლო კურსი „პროსოპოგრაფია როგორც კვლევის მეთოდი“ სავალდებულოა მხოლოდ ამ მიმართულების დოქტორანტისთვის.

სადოქტორო პროგრამა იწყება სადოქტორო სემინარების (სულ - 12 კრედიტი) სერიით. სადოქტორო სემინარების ფარგლებში დოქტორანტები პროსპექტუსზე მუშაობენ ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან ერთად. პროსპექტუსის მონახაზი მუშავდება სადოქტორო პროგრამაზე მიღებისას წარდგენილი სადოქტორო კვლევითი განაცხადის საფუძველზე. სემინარის განმავლობაში დოქტორანტები:

- განსაზღვრავენ საკვლევ საკითხს/პრობლემას სადისერტაციო კვლევისთვის;
- აკეთებენ რელევანტური ლიტერატურის მიმოხილვას, რომელიც მოიცავს შერჩეული საკითხის/პრობლემის შესახებ კვლევებზე დაფუძნებული უახლესი ცოდნის, გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგიების, მიღების და კონცეფციების ანალიზს/სინთეზს და შეფასებას;
- ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე განსაზღვრავენ ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას და აყალიბებენ კვლევის მიზანს, საკვლევ კითხვას/ებს (საჭიროების შემთხვევაში ჰიპოთეზას) და აყალიბებენ კვლევის მეთოდოლოგიას;
- ადგენენ ბიბლიოგრაფიას და კვლევის გეგმას.

სადოქტორო სემინარების სერია სრულდება პროსპექტუსის წარდგენით და დაცვით (იხ. სადოქტორო სემინარი 1, 2) დარგობრივი კომისიის წინაშე.

ასისტირება არის სადოქტორო პროგრამის ის კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის ჩართულობას სწავლებასა და კვლევასთან დაკავშირებულ აკადემიურ პროცესებში. პროგრამით გათვალისწინებულია როგორც სწავლების, ასევე კვლევის ასისტირება (იხ. ასისტირების კონცეფცია). სწავლების ასისტირების შემთხვევაში დოქტორანტი აკადემიური კურსის პროფესორს უწევს ასისტირებას, დამოუკიდებლად ახორციელებს აკადემიური კურსის კომპონენტს და აწარებს სალექციო/სასემინარო კურსს ან უწევს ტიუტორობას. კვლევის ასისტირების დროს დოქტორანტი შესაბამისი მიმართულების საბაკალავრო/სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებს უწევს კვლევითი პროექტების ხელმძღვანელობას/თანახელმძღვანელობას ან რეცენზირებას.

ასისტირების კომპონენტის ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 24 კრედიტი შესაბამის აქტივობებში (იხ. ასისტირების კონცეფცია). ასისტირების დაწყებამდე დოქტორანტმა უნდა გაიაროს სწავლებისა და შეფასების სტრატეგიების კურსი, რაც საშუალებას მისცემს მას დაუუფლოს სწავლა/სწავლების და შეფასების უახლეს სტრატეგიებსა და მეთოდებს. ასისტირების კომპონენტის ეფექტური დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით ყოველ სემესტრულად დგინდება დოქტორანტის ასისტირების გეგმა (იხ. ასისტირების კონცეფცია), რომელიც წარედგინება ფაკულტეტს. ასისტირების აქტივობებში კრედიტების მინიჭება ხდება შეფასების შესაბამისი ფორმის წარდგენის საფუძველზე (იხ. ასისტირების კონცეფცია), მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მიერ.

ასევე, სადოქტორო პროგრამის აუცილებელი პირობაა საერთაშორისო რეფერირებად გამოცემაში პუბლიკაციის გამოქვეყნება. კერძოდ, დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე მოეთხოვება შესაბამის

სფეროში მინიმუმ ერთი სამეცნიერო პუბლიკაცია საერთაშორისო რეცენზირებად თემატურ ჟურნალში. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული საერთაშორისო პუბლიკაციისადმი მოთხოვნები იხ. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში.

სადოქტორო პროგრამა სრულდება სადისერტაციო ნაშრომის წარდგენით და მისი დაცვით. სადოქტორო ნაშრომის დაცვა ხდება მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული სადისერტაციო საბჭოს წინაშე. სადისერტაციო ნაშრომის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია სადისერტაციო ნაშრომის კონცეფციის დოკუმენტში (იხ. სადისერტაციო ნაშრომის კონცეფცია).

სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა ითვალისწინებს 3 წელს. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ ასრულებს პროგრამის მოთხოვნებს 3 წლის დასრულების შემდეგ, მას უფორმდება დამატებითი ერთწლიანი ხელშეკრულება შესაბამისი პირობების გათვალისწინებით.

დასაქმების სფეროები

ციფრული ჰემანიტარიის სამივე მიმართულება ინოვაციურია, როგორც რეგიონული, ისე საერთაშორისო მასშტაბით. შესაბამისად, მისი დასაქმების სფერო მოიცავს შემდეგს:

- შესაბამისი პროფილის კვლევითი ინსტიტუტები;
- უნივერსიტეტები, ლინგვისტური ლაბორატორიები და ცენტრები;
- შესაბამისი პროფილის საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევითი პროექტები;
- არქივი, ბიბლიოთეკა;
- საგამომცემლო დაწესებულებები: რედაქციები, გამომცემლობები.

შეფასების წესი

სასწავლო კომპონენტის შეფასება მიმდინარეობს 100 ქულიანი სისტემით:

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შეფასება მიმდინარეობს შემდეგი სისტემით:

- ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ მირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ

აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

„ა“–„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

„ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.

„ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა (მათ შორის სამეცნიერო ელექტრონული ბაზები - ScienceDirect, Scopus, PsycInfo, Heinonline, Thomson Reuters, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Cambridge Journals, DOAJ, ebrary, Oxford Journals და სხვა)
- შესაბამისი პროფილის კვლევითი ინსტიტუტები, კერძოდ, ბრისტოლის უნივერსიტეტი, ავსტრიის მეცნიერებათა აკადემია, ბოლონიას უნივერსიტეტი და ა.შ.
- უნივერსიტეტის მულტიმედია ბიბლიოთეკა;
- ბოლო წლების განმავლობაში უნივერსიტეტში შექმნილი მონაცემთა ბაზები პროსოპოგრაფიის, ეპიგრაფიკისა და კორპუსის ენათმეცნიერების მიმართულებით;
- არგუსი, Moodle და Turnitin-ის სისტემები.

ასევე, უნივერსიტეტი სხვადასხვა ფორმატში თანამშრომლობს მსოფლიოს 150-ზე მეტ უნივერსიტეტთან და მობილობის პროგრამის - ერაზმუს მუნდუსის ხუთი პროექტის ფარგლებში, სამუალებას აძლევს დოქტორანტებს განახორციელონ სრულად დაფინანსებული მობილობა ევროპის უნივერსიტეტებში 2-დან 5 თვის განმავლობაში.

სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ჩამონათვალი

კომპონენტის დასახელება	წინაპირობა	ლექტორი	საკონტაქტო საათების განაწილება	კრედიტი	სემესტრი გაზ/შემ
სადოქტორო სემინარი 1		ხელმძღვანელი/ები, მომიჯნავე დარგის/დისციპლინის პროფესორი, რომელიც ჩართულია სადოქტორო პროგრამაში	ინდივიდუალური	6	x
სადოქტორო სემინარი 2	სადოქტორო სემინარი 1	ხელმძღვანელი/ები, მომიჯნავე დარგის/დისციპლინის პროფესორი, რომელიც ჩართულია სადოქტორო პროგრამაში	ინდივიდუალური	6	x

Writing for Academic Publication	სადოქტორო სემინარი II	მაია როგავა	18	6		x
სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები		სოფიკო ლობჟანიძე სოფიო გორგოძე	33	6	x	x
კორპუსის ენათმეცნიერების კვლევის მეთოდები		ირინა ლობჟანიძე	56	12	x	
კომპიუტერული ენათმეცნიერების კვლევის მეთოდები		ირინა ლობჟანიძე	56	12	x	
ციფრული ეპიგრაფიკის კვლევის მეთოდები და საქართველოს მრავალენოვანი ეპიგრაფიკა (ქართული, ძველი ბერძნული, არამეული, ებრაული)		ნინო დობორჯგინიძე	54	12	x	
პროსოპოგრაფია როგორც კვლევის მეთოდი		ოლივერ რაისნერი	64	12	x	
ასისტირება	სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები	ხელმძღვანელი/ები, მომიჯნავე დარგის/დისციპლინის პროფესორი, რომელიც ჩართულია სადოქტორო პროგრამაში		24	x	x
სადისერტაციო ნაშრომი				120	x	x

სწავლის შედეგების რუკა						
სასწავლო კომპონენტები/კურსები	კომპეტენციების ჩამონათვალი					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
სადოქტორო სემინარი 1	X	X	X	X	X	X
სადოქტორო სემინარი 2	X	X	X	X	X	X
Writing for Academic Publication				X	X	X
სწავლებისა და შეფასების		X	X		X	X

სტრატეგიები						
კომპიუტერული ენათმეცნიერების კვლევის მეთოდები	X	X	X		X	X
კორპუსის ენათმეცნიერების კვლევის მეთოდები	X	X	X		X	X
ციფრული ეპიგრაფიკის კვლევის მეთოდები და საქართველოს მრავალენოვანი ეპიგრაფიკა (ქართული, ძველი ბერძნული, არამეული, ებრაული)	X	X	X		X	X
პროსოპოგრაფია როგორც კვლევის მეთოდი	X	X	X		X	X
ასისტირება		X		X	X	
სადისერტაციო ნაშრომი	X	X	X	X	X	X